პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 30 მაისი, 1951 წ. № 125 (8979). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში.

მშრომელთა საზაფხულო დასვენება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მივაწოდოთ მშენებლობებს მეტი საშენი მასალა (1-ლი გვერდი).
ბულაჩაურის წყალსადენი (1-ლი გვერდი).
სამგორის მეორე უბნის მშენებლებთან (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საკავშირთაშორისო-სახალხო საქმეა (მე-2 გვერდი).
ვამრავლოთ ასიათასოვან ავტომძღოლთა რიგები (მე-2 გვერდი).
რატომ არ მუშაობს თვითეული ტრაქტორი სრული დატვირთვით (მე-3 გვერდი).
სასოფლო საბჭო მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე (მე-3 გვერდი).
ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
მაო ძე-დუნის განცხადება ტიბეტთან შეთანხმების ხელმოწერის გამო (მე-4 გვერდი).
აიკრძალოს ატომური ბომბი და მასობრივი მოსპობის საშუალებანი (მე-4 გვერდი).

მშრომელთა საზაფხულო დასვენება

ჩვენს ქვეყანაში ადამიანისათვის ზრუნვა ურყევ წესს წარმოადგენს. ამას მუდმივად გვასწავლიან ბოლშევიკური პარტია, ბრძენი ბელადი დიდი სტალინი. „... **მთელი იმ ძვირფასი კაპიტალებიდან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები, კადრები**“ (ი. სტალინი).

პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ადამიანისათვის უაღრესად დიდი და მრავალმხრივია. ამ ზრუნვას გრძნობს თვითეული მუშა, გლეხი, ინტელიგენტი.

ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა დიდმა ლენინმა ხელი მოაწერა საბჭოთა მთავრობის დეკრეტს დასასვენებელი სახლების შესახებ. ამ დეკრეტში მითითებული იყო, რომ დასასვენებელი სახლები იქმნება „იმ მიზნით, რათა მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეთ აღიდგინონ ძალა და ენერგია ყოველწლიური მორიგი შვებულების დროს ყველაზე ხელსაყრელ და ჯანსაღ პირობებში“. საბჭოთა ადამიანებისათვის მინიჭებული ეს დიადი უფლება — დასვენების უფლება განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით. საბჭოთა სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველწლიურად უდიდეს სახსრებს ხარჯავენ ჯანმრთელობის დაცვის მრავალრიცხოვანი კერების მოსაწყობად და უზრუნველსაყოფად. სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები უხვად არის ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა დასვენებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია შესანიშნავი პირობები. ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა. საქართველოს ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების უმრავლესობაში, აგრეთვე მრავალ სოფელში არის თეატრები, კლუბები, კინოთეატრები, კულტურისა და დასვენების პარკები, ბაღები, სტადიონები და წყალბურთნოსნობის სადგურები. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა დასვენებისა და გართობის შესანიშნავ ადგილებს წარმოადგენენ სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკები. წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მათი კეთილმოწყობისათვის. გაუმჯობესებულია თბილისის მშრომელთა კულტურული მომსახურების პირობები. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა მეტი რაოდენობით მოეწყოს გამაგრილებელი წყლების ფარდულები, მეტი რაოდენობით დაიდგას სკამები, მრავალფეროვანი გახდეს გასართობი ღონისძიებანი.

ზაფხულის ცხელ დღეებში დედაქალაქის მშრომელთა საგრძნობი ნაწილი მიემგზავრება თბილისის საგარეუბნო კურორტებზე, მცხეთის, გორის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების აგარაკებზე. აღნიშნული მიმართულებებით განსაკუთრებით დიდი მოძრაობაა გამოსასვლელ დღეებში. ამასთან დაკავშირებით იზრდება ყველა იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობა, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ დამსვენებელთა სანიმუშო მომსახურება. რკინიგზელები და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები მოწოდებული არიან კარგად მოემსახურონ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მიმავალთ, აგრეთვე თბილისელებს, რომლებიც დასვენების დღეებში თბილისის მახლობელ ადგილებში მიემგზავრებიან. მოხერხებულად უნდა შედგეს ავტობუსების საზაფხულო მიმოსვლის განრიგი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უნდა გაადიდოს საგარეუბნო კურორტებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი, დამატებით გამოჰყოს ავტობუსები გამოსასვლელ დღეებში მშრომელთა უკეთესი მომსახურებისათვის.

შარშან ბევრი აგარაკის, მაგალითად, კოჯრის, კიკეთის, წყნეთის, მანგლისის, ქვიშხეთის, სურამის, წაღვერის, ბაკურიანის და სხვ. მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ხშირად ადგილზე ვერ შოულობდნენ საჭირო საგნებს. ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან გაითვალისწინონ დამსვენებელთა აღნიშნული შენიშვნა და ახლავე მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა შექმნან ყველა პირობა ნორმალური დასვენებისათვის. კერძოდ, საჭიროა კურორტებზე გაფართოვდეს სავაჭრო ქსელი. ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები შეძლებენ ამ ამოცანის გადაჭრას, თუ აქედანვე გაითვალისწინებენ ყველაფერს, თუ უზრუნველყოფენ მაღაზიების, ფარდულების, სასაუზმეებისა და რესტორანების მუშაობის ყოველდღიურ კონტროლს. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე მიღებულ იქნას ზომები გამაგრილებელი წყლებით და ნაყინით შეუფერხებელი ვაჭრობისათვის.

შარშან იყო მშრომელთა სიგნალები იმის შესახებაც, რომ დასასვენებელ ადგილებში, განსაკუთრებით აგარაკებზე, ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა დამსვენებელთა კულტურული მომსახურების საქმე. ეს ნაკლი წელს აღარ უნდა განმეორდეს. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ადგილობრივმა ორგანოებმა აქედანვე უნდა იზრუნონ, რათა დამსვენებელთათვის სისტემატურად ეწყობოდეს კარგი კონცერტები, უჩვენებდნენ ახალ კინოფილმებს, ახალგაზრდობისათვის აწყობდნენ მასობრივ თამაშობებს, სპორტულ შეჯიბრებებს და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია კურორტებით. შავი ზღვის სანაპიროზე — ბათუმიდან დაწყებული გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძემდე ჩათვლით, — გახსნილია ჯანმრთელობის ათეულობით პირველხარისხოვანი სამკურნალო — სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ჯანმრთელობის დაცვის ამ შესანიშნავ კერებში ყოველწლიურად ასი ათასზე მეტი კაცი მკურნალობს. გაგრის კურორტი ითვლება ჯანმრთელობის პირველხარისხოვან სამკურნალოდ მთელ საბჭოთა კავშირში. რესპუბლიკაში მოქმედებს ადგილობრივი მნიშვნელობის ათობით სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

საზაფხულო საკურორტო სეზონი დაიწყო. შავი ზღვის სანაპიროებსა და ბორჯომის ხეობაში ჩამოვიდნენ დამსვენებლები საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. მათ შორის არიან მუშები, სპეციალისტები, მეცნიერები, კოლმეურნეები. საქართველოს ყველა კურორტის მუშაკთა, სოხუმის, გაგრის, გუდაუთის, ბათუმის, ქობულეთისა და ბორჯომის პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სანიმუშოდ მოაწყონ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობა, სამკურნალოდ ჩამოსულთა მკურნალობა და მომსახურება.

მშრომელთა საზაფხულო დასვენების სანიმუშოდ მოწყობა ნიშნავს ზრუნვას ადამიანებზე, მათს ჯანმრთელობაზე, იმაზე, რომ თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ და მოსამსახურემ კიდევ უფრო უკეთესად იმუშაოს თავისი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა ზაფხულის დღეებში საბჭოთა ადამიანებმა უფრო კარგად დაისვენონ და მეტი ძალღონე მოიკრიფონ კომუნიზმისათვის ბრძოლაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

მივაწოდოთ მშენებლობებს

მეტი საშენი მასალა

ადიდებენ აგურის გამოშვებას

თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების აგურის მესამე ქარხანაში განიხილეს საბურთალოელ მეაგურეთა მიმართვა აგურის გამოშვების გადიდების მიზნით სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. მიმართვის განხილვისას ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ა. ჯმუხაძემ განაცხადა:

— ჩვენი ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება 119,1 პროცენტით შეასრულა. აპრილში გეგმის გადამეტებით გამოვუშვით 48.000 ცალი აგური. ჩვენ შეგვიძლია მშენებლებს გაცილებით მეტი აგური მივაწოდოთ, თუ უფრო ბეჯითად ვიმუშავებთ და მთლიანად გამოვიყენებთ არსებულ რესურსებს.

აგურის მესამე ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბურთალოელთა თაოსნობას და იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან ერთი მილიონი ცალი აგური, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 10 პროცენტით, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და სამშობლოს 200 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცენ, ამასთან 40 პროცენტით გაზარდონ პირველი ხარისხის აგურის გამოშვება.

სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა ლიდა ბესალაიამ იკისრა პ. დუვანოვის მეთოდის გამოყენებით გაადიდოს აგურის გამოწვა და წლის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 200 ათასი ცალი აგური გამოწვას. გადიდებული ვალდებულებანი აიღეს ალიზის დამყალიბებლებმა გ. მჭედლიშვილმა, ი. კუდრენკომ და სხვებმა.

შეჯიბრება გაიმარჯვა

გორი. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საშენ მასალათა წარმოების კოლექტივმა საბურთალოელთა მოწოდების პასუხად იკისრა საშენი ქვა დაამზადოს 1.500 კუბმეტრით მეტი, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებს. აქედან 1 ივლისისათვის დაამზადებენ 500 კუბმეტრს, 1 აგვისტოსათვის 600 კუბმეტრს, ხოლო დანარჩენ რაოდენობას წლის ბოლომდე. გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 500 ტონა კირს, აგურ-კრამიტის გამოშვების წლიურ გეგმას შეასრულებენ 5 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ 12 პროცენტით, ქვანახშირის ხარჯს შეამცირებენ 4, ხოლო ელექტროენერგიისას — 3 პროცენტით.

შეჯიბრება გაჩაღდა არტელ „ქალაქმშენის“ მუშათა შორისაც. ამ არტელის წევრებმა იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 150 ათასი ცალი აგური, 50 ათასი ცალი კრამიტი, 300 ტონა კირი და 500 კუბმეტრი ტუფის ბლოკი.

რესპუბლიკის ახალ მშენებლობებზე

ბულაჩაურის წყალსადენი

ბულაჩაურის წყალსადენი დიდი მშენებლობაა ჩვენს რესპუბლიკაში. მისი აგება დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან, მაგრამ მშენებელთა სახელოვანი კოლექტივი წარმატებით ძლევს ყველა დაბრკოლებას.

უკვე დამთავრებულია ჭების ამოღება, წყაროს მიმღები კოლექტორებისა და სამიჯნო კამერის აგება. რამდენიმე ათეულ კილომეტრზეა გაყვანილი ღია და დახურული არხი, გვირაბები. ტრასის ცალკეულ პუნქტებში აშენებულია მრავალი სახლი, გაყვანილია საავტომობილო გზა.

ამჟამად მუშაობა გაჩაღებულია წყალსადენის მთელ ტრასზე — ბულაჩაურიდან რუსთავამდე. ბეტონით, სარმატურო ლითონით, მილებით და სხვა მასალით დატვირთული ავტომანქანები ყოველ წუთს მოდიან არხთან. ბულდოზერები, ამწეები, ექსკავატორები თავიანთი გუგუნის ხმას ჰფენენ ველმინდორს.

მშენებლობის ყველა უბანში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ინჟინერ-ტექნიკოსები, გვირაბმშენებლები, მებეტონეები, ტრანსპორტის მუშაკები, დურგლები, მჭედლები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ვადაზე შეასრულონ მათთვის მინდობილი საპატიო საქმე.

საუკეთესოდ მუშაობს პირველი სამშენებლო უბანი; აპრილის გეგმა ამ უბნის კოლექტივმა 102 პროცენტით შეასრულა. უბნის ინჟინრებმა ბიძინა აბულაძემ, გიორგი მამულაშვილმა და შალვა მელიქაურმა ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებანი განახორციელეს და მშენებლობას მრავალი ათეული ათასი მანეთი დაუზოგეს.

წინათ ბეტონის მილების დასამზადებლად მშენებლები იყენებდნენ ფიცრულ ქარგილს. მუშაობის ეს მეთოდი არ იყო ხელსაყრელი, რადგან იწვევდა ხის მასალის დიდ დანაკარგს. ამას გარდა მილების შიდა ნაწილი რჩებოდა უსწორმასწორო და საჭირო ხდებოდა მილების შიდაპირის დამატებითი დამუშავება. ინჟინრების ბ. აბულაძის, გ. მამულაშვილისა და შ. მელიქაურის წინადადებით მებეტონეებმა ხის ქარგილს გადააკრეს ლითონის ფურცლები. შედეგი საუკეთესოა. მილის შიგნითა კედელი გამოდის სრულიად გლუვი და დამატებითი დამუშავებას (ტორკრეტირებას) არ საჭიროებს. ამასთან შემცირდა ხის მასალის დანაკარგი.

მშენებლობაზე გაიზარდნენ კვალიფიციური მუშაკთა ახალი კადრები. ანანურელი კოლმეურნე ალექსანდრე ბულაური ორი წლის წინათ მოვიდა ბულაჩაურში. ახლა იგი სახელგანთქმული მბურღავია. გამოცდილი მშენებლები გახდნენ ყოფილი კოლმეურნეები ზურაბ ბედოშვილი, ალექსი მჭედლიშვილი, ალექსანდრე გაგაძე.

წყალსადენის ტრასზე ყველაზე რთული სამუშაო მინდობილი აქვს მეოთხე უბანს. ამ უბანში გაჰყავთ გვირაბები. რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეში მომუშავე ადამიანები შეუპოვრად ებრძვიან კლდეებსა და მიწის სიჯიუტეს. ვაჟკაცურად, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ ახალგაზრდა მეგვირაბეები შალვა დგებუაძე, ტიმოთე ჯეირანოვი, ნიკოლოზ კონსტანტინოვიჩი, პეტრე კოჟემიაკო, დიმიტრი ნასულია, რომლებიც დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებენ.

მშენებელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ამ სამშენებლო უბნის უფროსმა ინჟინერმა ლევან ჩქარეულმა. იგი დიდი ხანი არ არის, რაც აქ მუშაობს, მაგრამ მოკლე ხანში მან შეძლო უბანი მოწინავეთა რიგში ჩაეყენებინა. მარტში უბანმა გეგმა 146, ხოლო აპრილში 150 პროცენტით შეასრულა. უბნის მუშაკებმა იკისრეს მაისის გეგმა 160 პროცენტით გაანაღდონ.

ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით სამუშაოთა მწარმოებელს ინჟინერ მიქავას; ავტომანქანების მძღოლებს დიმიტრი კაჭკაჭურს, გიორგი თალაშვილს; ზეინკლებს გრიგოლ ოჭრუაშვილს, სანდრო ინაშვილს; ბრიგადირებს ლევან დოლიძეს, გიორგი ლაგაზაშვილს, მიხა სენაშვილს, იასონ გოლეთიანს, კონსტანტინე ბეჟიძეს; ამწე მანქანაზე მომუშავე ნიკოლოზ ჩხვაძეს; მჭედელ პავლე ჭურღულიას, მბურღავ ვლადიმერ ქოჩიშვილს.

წყალსადენის მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ილია ჩლაიძეს, მეორე უბნის სამუშაოთა მწარმოებელს ბორის კოდუას, სამშენებლო საწარმოების კომბინატის უფროსს კლიმენტი ბოკერიას, ინჟინრებს სერგეევსა და მარქაროვს.

მშენებელთა კოლექტივი თავდადებულად იბრძვის იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XX საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილება — მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაამთავროს წყალსადენის აგება.

ექვსი თვის შემდეგ მიწის სიღრმიდან ამოხეთქილი ბულაჩაურის წყალი მილებით წამოვა დედაქალაქისაკენ, მივა ახალ სოციალისტურ ქალაქ რუსთავში და ანკარა წყლით გახარებული ადამიანები მადლობის გრძნობით გაიხსენებენ იმათ, ვინც ენერგიის დაუზოგავად აშენებდა ჩვენი დროის ამ შესანიშნავ ნაგებობას.

ა. თოლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ქარხანა ვადამდე შეასრულებს სამგორელთა შეკვეთებს

საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა განიხილა სამგორელი ინჟინრების წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტში“ სამგორის მშენებლობისათვის სხვადასხვა შეკვეთათა ვადამდე შესრულების საჭიროების შესახებ, და გადაწყვიტა ყველა ის შეკვეთა, რაც ჩვენი ქარხნის კოლექტივს აქვს დაკისრებული, შეასრულოს ვადაზე ორი კვირით ადრე, ე. ი. ნაცვლად 1 სექტემბრისა 15 აგვისტოსათვის.

ჩვენს ქარხანას დავალებული აქვს სამგორის მშენებლობისათვის დაამზადოს სულ 350 ტონამდე ლითონის სხვადასხვა დეტალი, სწორი გაბარიტული და მრუდე გაბარიტული საფასონო ნაწილები, დიდდიამეტრიანი მილები და სხვ.

ქარხნის კოლექტივი დაკვრითი წესით შეუდგა ამ შეკვეთათა შესრულებას და უკვე დაიწყო დამზადებული პროდუქციის ჩაბარება შემკვეთელთათვის. მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც ამ შეკვეთათა შესრულებაზე მუშაობენ, თავიანთი პატრიოტული ღირსების საქმედ თვლიან სამგორელთა შეკვეთების ვადამდე შესრულებას.

ს. ხითარიშვილი (ქარხნის დირექტორი), **ქ. მერაბიშვილი** (მთავარი ინჟინერი), **ქ. გოგიჩაიშვილი** (საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანი)

მოწინავე მეჩაიეები

გეგეჭკორი. (ტელეფონით). მაისის მეხუთე ხუთდღიურში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 15.600 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. შ. ფირცხალავა), რომელმაც ჩაის კრეფის აპრილ-მაისის დავალება ვადამდე შეასრულა. აქ გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილი აქვთ 27 ტონა ჩაის ფოთოლი. ბრიგადებმა, რომლებსაც ქ. ჯღარკავა და ვ. ყუფარაძე ხელმძღვანელობენ, ყველაზე ადრე გაანაღდეს ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა. კოლმეურნე ნათელა ჯღარკავა ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მეექვსე კლასის მოსწავლე ანგელინა მეველია ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს. იგი წელს იბრძვის იმისათვის, რომ მისთვის მოსაველელად მიჩენილ 0,5 ჰექტარზე მოიყვანოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფაში დაწინაურდნენ აგრეთვე სოფელ კიწის სტალინის, მუხურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები და სოფელ ნოღის კოლმეურნეობა „შრომა“. თვითეულ მათგანს აპრილ-მაისში გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს 12-14 ტონა ჩაის ფოთოლი.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-4 ტომი ჩეხურ ენაზე

პრაღა. (საკდესი). გამომცემლობა „თავისუფლებამ“ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-4 ტომი.

ახალი ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ“

კიევი. (საკდესი). გამოვიდა ახალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ნაუკა ი ჟიზნ“ პირველი ნომერი. ეს ჟურნალი წარმოადგენს უკრაინის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ორგანოს.

ნომერში მოთავსებულია სტატიები: „ლენინ-სტალინის პარტიის კომუნიზმისაკენ მივყავართ“, „საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება“, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. ვ. პალადინისა — „უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა შემოქმედებითი წარმატებანი“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის კ. სტეცუკისა — „უკრაინელი და რუსი ხალხების მეგობრობა“, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ი. სუხომლისა და ტრესტ „უკრვოდპროექტის“ მთავარი ინჟინრის ს. მ. პერებრიტისა — „კომუნიზმის მშენებლობანი დნეპრზე“, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ა. ვლასიუკისა — „მეცნიერება კოლმეურნეობათა დასახმარებლად“, „კომეტები და მზის სისტემის წარმოშობა“, „პოლონეთში მეცნიერებისა და კულტურის აყვავების შესახებ“, „რუსი პატრიოტი მეცნიერის ნ. ე. ჟუკოვსკის შესახებ“ და სხვ.

მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 120 ცენტნერი მატყლი

მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 27 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მატყლის დამზადების ნახევარი წლის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მარნეულის რაიკომის მდივანი ამხ. სანიკიძე და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოჯაევი იტყობინებიან, რომ საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ მატყლის დამზადების წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 120 ცენტნერი მატყლი.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფელი ანკარა გამოეყო ონის რაიონის ზნაკვის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ონის სასოფლო საბჭოს.

სოფელი კომანდელი გამოეყო ონის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ონის საქალაქო საბჭოს.

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის 175 წლისთავი

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში

[illegible]

1776-1951.

[illegible]

კომუნისტი

ოთხშაბათი, 30 მაისი, 1951 წ. № 125 (8079)

პარტიული ცხოვრება

სამგორის მეორე უბნის მშენებლებთან

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში სამგორწყალმშენის მეორე სამშენებლო უბანი (უბნის უფროსი დ. ქლენტი, პარტბიუროს მდივანი ა. არაბიძე) პირველ ადგილზე გამოვიდა, რისთვისაც მან გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიიღო. ამ უბნის კოლექტივმა უკვე დაამთავრა პირველი საარხე გვირაბის გაყვანა. ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს მეორე საარხე გვირაბის დაბეტონება.

მეორე უბნის სამეურნეო ხელმძღვანელობას მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში სერიოზულ დახმარებას უწევს უბნის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 35 კომუნისტს აერთიანებს. კომუნისტებმა გადაწყვიტეს სამგორში დარჩნენ არხის მშენებლობის დამთავრებამდე, ხოლო ზოგიერთი იქ დასახლებასაც ფიქრობს. პარტბიუროს მდივანი ა. არაბიძე მესამე წელია, რაც სამგორში ჩამოვიდა ვანის რაიონის სოფელ შუამთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან. მან თავისი მუყაითი შრომით და საქმისადმი სიყვარულით კომუნისტების, მშენებელთა მთელი კოლექტივის პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ იგი პარტბიუროს მდივნად აირჩიეს.

კარგად მოიქცა უბნის პარტიული ორგანიზაცია, როდესაც უპირველეს ამოცანად დაისახა კომუნისტების იდეური დონის ამაღლება. 21 კომუნისტი წარმატებით ამთავრებს პოლიტსკოლას. კომუნისტების ერთი ნაწილი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათ კარგად ეხმარება კონსულტანტი ინჟინერი დ. ქლენტი. იგი კვირაში ერთხელ აწყობს ჯგუფურ გასაუბრებას, მართავს ინდივიდუალურ კონსულტაციებს ამათუიმ საკითხის გასარკვევად. ახალი სასწავლო წლიდან მან 60-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია და რამდენიმე თეორიული კონფერენცია მოაწყო. დიდი ინტერესი გამოიწვია თეორიულმა კონფერენციებმა მარქსისა და ენგელსის ნაშრომზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", ლენინის ცნობილ შრომებზე: „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", „რა ვაკეთოთ?" და სხვ.

პარტბიურო სერიოზულ ყურადღებას უთმობს საგიტაციო მუშაობის კარგად დაყენებას. მშენებელთა შორის აგიტაციას 16 ამხანაგი ეწევა, მათი უმრავლესობა მართალი, ბოლშევიკური აგიტაციითა და შრომაში პირადი მაგალითით რაზმავს მშენებლებს საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. პარტბიურო ზრუნავს აგიტატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მაღალ იდეურ დონეზე ეწყობა აგიტატორთა სემინარები. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ინჟინერი ი. თვალაძე კვირაში ერთხელ იწვევს აგიტატორებს და აძლევს მათ მეთოდური ხასიათის მითითებებს.

საგიტაციო მუშაობის წარმატება იმითაც აიხსნება, რომ პარტბიურო ხშირად იხილავს ცალკეულ აგიტატორთა მუშაობის საკითხებს. მაგალითად, 1951 წლის 14 მარტს პარტიულმა კრებამ განიხილა გასული წლის 18 დეკემბრის პარტიული კრების დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ აგიტატორები: ოსტატი ბ. ჩუბინიძე, მებეტონე ბრიგადირები ა. აბაევი, ა. პატაშური მთელი პასუხისმგებლობით მუშაობენ. მათი სასაუბრო თემები მრავალფეროვანია, მოიცავს საერთაშორისო და საშინაო ვითარებას, სახელმწიფო საკუთრებასთან დამოკიდებულების, კომუნიზმის დიადი მშენებლობების საკითხებს. ამასთანავე ეს აგიტატორები ხელმძღვანელობენ საკედლე გაზეთების გამოშვებას. მიუხედავად ამისა, ყველა აგიტატორი როდი იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე. მაგალითად, კომუნისტები ა. ნაკაშიძე და გ. დავიდოვი არასისტემატურად და დაბალ იდეურ დონეზე ატარებდნენ საგიტაციო საუბრებს. პარტიულმა კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, პარტბიურომ უზრუნველყო მათი განხორციელება და მდგომარეობაც გამოსწორდა.

მოწინავე მშენებელთა მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციისათვის პარტბიურო იყენებს საპატიო დაფას. აღსანიშნავია საუბნო კედლის გაზეთის „ახალი სამგორის" მუშაობა, იგი დროულად და საქმის ცოდნით ეხმაურება მშენებლობის საკვანძო საკითხებს.

მშენებელთა შორის კარგად დაყენებულმა პარტიულ-პოლიტიკურმა მუშაობამ ხელი შეუწყო სამეურნეო წარმატების მოპოვებას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კომუნისტები. კომუნისტი დურგალი მ. აბუთიძე, რომელიც პოლიტსკოლის მოწინავე მსმენელია, თავის სამუშაო უბანზეც მოწინავეა. მან აპრილის დავალება 193 პროცენტით შეასრულა. ამხ. აბუთიძეს არ ჩამორჩებიან მებეტონე ბრიგადირები კომუნისტები დ. ბზიშვილი და ა. აბაევი, რომლებმაც დავალება 160-183 პროცენტით შეასრულეს. დაწინაურდა საარხე გვირაბის მშენებლობაზე მომუშავე გ. ყურაშვილის ბრიგადაც.

კომუნისტების პირადი მაგალითით აღფრთოვანებულ ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეაქვს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის საქმეში. კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ლ. ლომიძე ხელმძღვანელობს, გეგმას 173 პროცენტით ასრულებს. ბრიგადაში მოწინავენი არიან კომკავშირელი მიხეილ სტეფნაძე და არაკომკავშირელი ახალგაზრდა პ. ყველაშვილი.

პარტბიურო ხშირად მსჯელობს სამუშაო პროცესების გაუმჯობესებისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე. კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. სანაძე, რომელიც სამუშაოთა უფროსი მწარმოებელია, ეხმარება მშენებლებს საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში. მისმა ბრიგადამ ვადაზე ადრე დაამთავრა პირველი გვირაბის დაბეტონება; ამის შემდეგ ბრიგადის მთელი შემადგენლობა გადაყვანილ იქნა მეორე გვირაბის დაბეტონებაზე. აქ მათ ახლებურად მოაწყეს მუშაობა. სანაძემ ბევრი მებეტონე, მებიგე და მტკეპნელი მოამზადა.

მეორე უბნის მშენებლებს კარგი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ შექმნილი. აგებულია 800 კაცის ტევადობის კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. კარგად არის მოწყობილი სასადილო, საექიმო პუნქტი, საბავშვო ბაღი და ბაგა, კლუბი, საზაფხულო ესტრადა. პარტბიურო სისტემატურად იხილავს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს და სამეურნეო ხელმძღვანელობასთან ერთად სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს.

მუშები თავისუფალ დროს კულტურულად ისვენებენ. კლუბში სისტემატურად უჩვენებენ კინოსურათებს. თვითმოქმედი მომღერალთა და დრამატული წრეები ხშირად მართავენ საღამო-კონცერტებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კლუბთან საკმაო რაოდენობით არ არის შექმნილი წრეები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს კლუბის ადმინისტრაციამ.

მეორე უბნის მშენებელთა კოლექტივს პარტიული ორგანიზაციის დახმარებით მნიშვნელოვანი სამეურნეო მიღწევები აქვს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ უახლოეს ხანში დაამთავრონ ქვემომაგისტრალური არხის სათავე წყალმიმღები კოშკით და საწნევი მილსადენით. დიდია პარტიული ორგანიზაციის დამრაზმავი როლი ამ ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებაში. მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უპარტიო მშენებლებთან მუშაობას, ხშირად მოაწყოს ღია პარტიული კრებები, განიხილოს საინტერესო საკითხები, ამ საკითხების მომზადებასა და გადაწყვეტაში მეტი რაოდენობით ჩააბას კომუნისტები, გააუმჯობესოს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. პარტბიუროს მოვალეობაა სისტემატურად მოაწყოს ლექციები, მოხსენებები ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულზე, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებებზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რაც მშენებლებს ძლიერ აინტერესებთ.

ე. მამალაძე
მ. ვარდოსანიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტები

თათბირი პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრების საკითხზე

თელავი. (საქ. კორ.). პარტიული განათლების ქსელში სოფლად სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხზე პარტიის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების და პროპაგანდისტების რაიონული თათბირი. მოხსენება გააკეთა რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგემ ამხ. ი. ქოჩლაძემ.

პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ზ. დათიშვილმა, მ. მეზვრიშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ისინი პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

ბორჯომი. (საქ. კორ.). პარტიის რაიკომში შედგა თათბირი პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების საკითხზე.

თათბირს ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. გობრონიძემ.

ვოლგადონმშენი. № 15 რაბის ქვაბულის ამოღება ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძზე. მიწის სამუშაოებს აქ ასრულებენ მძიმე მანქანათმშენებლობის ურალის ქარხნის სამკუბიანი ელექტროექსკავატორებისა და „ეშ-1" მარკის რამდენიმე მოსიარულე ექსკავატორის დახმარებით. გრუნტის გაზიდვაზე მუშაობენ მინსკის ავტოქარხნის თვითმცლელი ავტომანქანები. ფოტო ს. კროპივნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

(რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების ფურცლებზე)

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა ხარკოვის სამგზის ორდენოსანი სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა. მან იკისრა დაზოგოს და კომუნიზმის მშენებლობათა ფონდში შეიტანოს ასობით ტონა ლითონი და სხვადასხვა მასალა.

ხარკოვის თბომავალმშენებლებმა პირველი წვლილი შეიტანეს სტალინურ ახალმშენებლობათა ფონდში. მათ უკვე დაზოგეს 75 ტონა ნაგლინი ლითონი, 110 ტონა თუჯი, 120 ტონა მაზუთი, 20 ტონა ბენზინი, 25 ტონა დიზელის სათბობი, 8 ტონა ცემენტი, 100 კვადრატული მეტრი მინა.

(„პრავდა უკრაინი")

* * *

სტალინგრადის ჰიდროკვანძის მოედნებზე დაიწყო რკინიგზის მისასვლელი ლიანდაგების მშენებლობა. აშენდება 25-30 კილომეტრი რკინიგზები, რომლებითაც სამშენებლო ობიექტებს მიაწოდებენ საშენ მასალებს. ვოლგის მარცხენა ნაპირზე საძირკველი ეყრება ელექტროქვესადგურებს. დაიწყო მაღალვოლტიანი ხაზების აშენება, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებენ ყველა დროებით მოძრავ ელექტროსადგურს. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ჰიდრომშენის ქალაქის ასაშენებლად. ახლა შენდება 23 ორსართულიანი სახლი.

(„სტალინგრადსკაია პრავდა")

* * *

ჩრდილოეთ ყირიმის არხის რაიონში დაიწყო გეოლოგიური გადაღება და მუშაობა გრუნტის წყალგაუმტარობის გამოსარკვევად. ყირიმელი გეოლოგები გულდასმით იკვლევენ ადგილს და მიემართებიან ჩრდილოეთით, უკრაინისაკენ, საიდანაც მათ შესახვედრად მოდიან ხერსონის ექსპედიციის გეოლოგები.

(„კრასნი კრიმ" — სიმფეროპოლი)

* * *

ვოლგა-დონის არხის ტრასზე დაიწყო რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მონტაჟი. არხზე და ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლობაზე წელს უნდა დამონტაჟდეს 30 ათასი ტონა კონსტრუქციები. ადგილებზე მოეწყო სპეციალური სამშენებლო სამმართველოები. საშენი მოედნები უკვე იღებენ სპეციალურ უახლეს მოწყობილობას სამონტაჟო სამუშაოების საწარმოებლად.

(„მოლოტი" — დონის როსტოვი)

* * *

სამხრეთ უკრაინის არხის მშენებლობის სამმართველოში რესპუბლიკის ყველა ოლქიდან კვლავ მოდის მშრომელთა მრავალი წერილი. ისინი სურვილს აცხადებენ იმუშაონ კომუნიზმის მშენებლობაზე. უკვე მიღებულია რამდენიმე ათასი ასეთი წერილი.

სტანისლავის ოლქიდან ზაპოროჟიეში ჩავიდა 120 კაცი. მათგან ნაწილი გაიგზავნა მელიტოპოლსა და ვასილიევკაში. ახლო ხანში მოელიან 500 კვალიფიციურ მუშას კიევის, ვოროშილოვგრადისა და რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან.

ზაპოროჟიეში იწყება სასწავლო კომბინატის მშენებლობა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ მუშახელს.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტო)

* * *

ვოლგის მარცხენა ნაპირზე კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლები შეუდგნენ ახალი საავტომობილო მაგისტრალის გაყვანას. ფართო მოასფალტებული მაგისტრალი ათეულ კილომეტრებზე გაიჭიმება და მშენებელთა მომავალ სოციალისტურ ქალაქს შეაერთებს ქალაქ კუიბიშევთან. მშენებლობაზე გაემგზავრნენ სამანქანო-საგზაო რაზმები, რომლებიც აღჭურვილი არიან ახალი მძლავრი ტექნიკით.

(„ვოლჟსკაია კომუნა"—კუიბიშევი)

* * *

თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე მუშაობს თურქმენეთის ბევრი ყოფილი კოლმეურნე. ბევრი მათგანი უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე ახალ სპეციალობას დაეუფლა.

უბრალო მუშად მოვიდა მშენებლობაზე კუნია-ურგენჩის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრი ამხ. ნურულაევი. ახლა იგი ცვლის ოსტატად მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს.

მოკლე ვადაში მბურღავის, დურგლის, კალატოზის და სხვა სპეციალობას დაეუფლა ასზე მეტი ყოფილი კოლმეურნე.

(„ტურკმენსკაია ისკრა")

* * *

„უზბეკკნიგტორგი" სისტემატურად გზავნის ლიტერატურას თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე. მარტო აპრილში მშენებლებს გაეგზავნათ 75 ათასი მანეთის პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა.

ახლა მზადდება ლიტერატურის ახალი პარტია მშენებლთათვის. უახლოეს ხანში ტახია-ტაშში გაიხსნება წიგნის კიოსკი.

(„პრავდა ვოსტოკა")

სტალინური მშენებლობის შეკვეთით

ლენინგრადი, (საკდესი). ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას" საამქროებში მთავრდება პირველი ჰიდროგენერატორის დამზადება ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურისათვის. დაჩქარებული ტემპით წარმოებს ას ტონაზე მეტი წონის უდიდესი დეტალის—სტატორის გრაგნილის დაგება. ჰიდროკორპუსის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 30 მაისისათვის დაამთავროს ეს მუშაობა და სტატორი შემკვეთს გაუგზავნოს. საამქროს ყველა უბანზე არაჩვეულებრივი შრომითი აღმავლობაა. მექანიკური უბნის მუშებმა მოაწყეს დეტალების პარალელური ბურღვა და ღარვა, მნიშვნელოვნად დააჩქარეს ტექნოლოგიური პროცესი.

ტურბინკორპუსში დაიწყო მრავალტონიანი ლილვის დამუშავება ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურის მეორე მანქანისათვის. კომუნისტი ხარატი გ. ვ. ბუტუსოვი სტახანოვურ ვახტზე დადგა და ვალდებულება იკისრა ეს სამუშაო ვადაზე 12 დღით ადრე დაამთავროს. ერთიორად აჭარბებენ დავალებას სტახანოველები ნ. ი. პერშინი და ა. ა. კონდრატიევი, რომელთაც მინდობილი აქვთ როტორის მალისის დამუშავება.

ქარხნის მრავალ საამქროში დაიწყო დეტალების დამზადება მეორე ჰიდროგენერატორისათვის. სამჭედლო-შემდუღებელი საამქროს სტახანოველებმა უკვე გამოუშვეს დეტალების მეორე კომპლექტი. მოწინავე გამჭრელები ა. მ. პლიასოვი, ი. თ. გორბატოვი, ა. ნ. სკეპჩენკო იბრძვიან, რათა 1 ივნისისათვის დაამზადონ მანების მეორე კომპლექტის დეტალები. დღეს ეს შრომატევადი სამუშაო უკვე 80 პროცენტით შესრულდა. სამტამპო საამქროში გაშლილია მუშაობა მეორე მანქანის პოლუსებისათვის რკინის გამოსაშვებად.

ქარხნის ტექნოლოგებმა ჰიდროკორპუსის ნოვატორებთან თანამშრომლობით შეიმუშავეს სტალინური მშენებლობებისათვის ჰიდროგენერატორების სამაგრ დეტალებზე ჭრილების ჩქაროსნული ღარვის ტექნოლოგიური პროცესი. ახალმა ტექნოლოგიამ შრომის ნაყოფიერება რამდენჯერმე გაადიდა.

სამეცნიერო შრომები კომუნიზმის დიად მშენებლობებზე

დნეპროპეტროვსკი, (საკდესი). ქალაქის ინსტიტუტთა და სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივები აძლიერებენ კომუნიზმის დიადი მშენებლობებისადმი დახმარებას.

სამხრეთ უკრაინის არხის ტრასზე და კახოვკის ჰესის მშენებლობის რაიონში თვენახევარზე მეტია მუშაობს დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის კათედრის და გეოლოგიური ინსტიტუტის სამი სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიცია. 70 მეცნიერმა თანამშრომელმა და უკანასკნელი კურსის სტუდენტებმა შეასრულეს კვლევითი მუშაობა და შეიმუშავეს კახოვკის კაშხალის ზემოთ დნეპრის ადიდებისას დასახლებული პუნქტების წყლით დატბორვის თავიდან აცილების ღონისძიებანი.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატების ლიტვინენკოს და გრიშნოვის ხელმძღვანელობით ექსპედიციის მონაწილეებმა შეადგინეს სამშენებლო მოედნების რაიონების გეოლოგიური და გეომორფოლოგიური რუკები, 80 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე მოაწყეს ტოპოგრაფიული გადაღება.

უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მიწაყრილის ფერდობების გამაგრების ხერხები.

დნეპროპეტროვსკის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მშენებლობის წარმოების და საკვლევ და საპროექტო კათედრების კოლექტივებმა, „უკრგიდროპროექტთან" ერთად შეიმუშავეს არხების ტრასებიდან გრუნტის რაციონალური გამოზიდვის პროექტი.

ვამრავლოთ ასიათასოვან ავტომძღოლთა რიგები

(ავტოტრანსპორტის სტახანოველთა, პროფესიულ და სამეურნეო მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი)

წლითიწლობით ფართოვდება ჩვენი რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო პარკი, იზრდება ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაში ავტოტრანსპორტის როლი. ათასობით და ათეულ ათასობით ავტომობილი უწევს მომსახურებას რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ მშენებლობებს, საწარმო-დაწესებულებებს, საკოლმეურნეო სოფელს. ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული ავტომძღოლებს. მძღოლთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტახანოველ ავტომძღოლთა რიგების ზრდა, ასიათასოვანთა მოძრაობის გაფართოება ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა.

ყოველივე ეს გაითვალისწინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც სამშაბათს, 22 მაისს, თბილისში, ძერჟინსკის სახელობის კლუბში მოიწვია ავტოტრანსპორტის სტახანოველთა, ავტომეურნეობის პროფესიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირმა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოისმინა თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველი კლასის მძღოლის დ. სულაძის, აფხაზეთის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველი კლასის მძღოლის კ. კაპუსტინის და თბილისის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის პირველი კლასის მძღოლის ს. კოტიაშვილის მოხსენებები. პირველმა კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად თავისი მანქანით გაიარა 260 ათასზე მეტი კილომეტრი, მეორემ — 310 ათასი, ხოლო მესამემ საშუალო შეკეთების გაუკეთებლად თავისი მანქანით 109 ათასი კილომეტრი გაიარა.

— საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს (წინათ „სოიუზტრანსის") სისტემაში, — ამბობს ამხ. დ. სულაძე, — ვმუშაობ 1928 წლიდან. ავტობუსი № 28, რომელზეც მე ვმუშაობ, კაპიტალურად შეკეთებული ჩავიბარე 1946 წლის პირველ ივნისს და ვიკისრე 100 ათას კილომეტრზე მეტის გავლა ურემონტოდ, ბენზინისა და საბურავის ეკონომია, ყოველდღიურად მგზავრთა გადაყვანის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

1946 წლიდან დღემდე კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად გავიარე 261.433 კილომეტრი, გადავიყვანე 57.260 მგზავრი. ამავე პერიოდში დავზოგე 31 ათას მანეთზე მეტი სარემონტო სახსრები და 2 ათას ლიტრზე მეტი ბენზინი. მივიღე 9.378 მანეთი პრემია. ამჟამად განვაგრძობ აღნიშნული ავტობუსით მუშაობას ტექნიკური კომისიის დასკვნით, ავტობუსი კვლავ კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია.

ყველა მძღოლისათვის ცხადია, რომ მანქანის კარგი მოვლა, ეგრეთწოდებული პროფილაქტიკა ძირითადი ფაქტორია მანქანის ურემონტოდ მუშაობის გახანგრძლივებისათვის. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ავტომანქანის პროფილაქტიკურ მოვლას ვაქცევ. ამ მიზნით წესად მაქვს შემოღებული პირადად დავესწრო მანქანისათვის პროფილაქტიკური მომსახურების გაწევას, მოძრაობიდან აბრუნებისას ყოველთვის ვამოწმებ მანქანას, გულდასმით ვადევნებ თვალყურს მოძრაობის დროს აგრეგატების მუშაობას, ჩემს ბრიგადასთან ერთად ვახორციელებ მთელ რიგ ღონისძიებებს. ყოველივე ამის შედეგად არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა ტექნიკური უწესივრობის გამო გზიდან მანქანის გარაჟში დაბრუნებისა. გზაში არასოდეს არ ვაჭარბებ მოძრაობის სისწრაფის ნორმებს, სწორ გზაზე მანქანა დამყავს 35-40 კილომეტრი სისწრაფით საათში.

შემდეგ მომხსენებელი თათბირს აცნობს იმ ღონისძიებებს, რასაც იგი ახორციელებს ბენზინისა და საბურავის ეკონომიისათვის, უსაფრთხო მოძრაობისათვის, როგორ იმაღლებს თავის ტექნიკურ კვალიფიკაციას.

ასეთივე საქმიანი მოხსენებებით გამოვიდნენ თათბირზე სტახანოველი ავტომძღოლები ამხ. კ. კაპუსტინი და ს. კოტიაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორის მძღოლმა ს. მესხიძემ, აჭარის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ა. ატოიანმა, თბილმშენის ტრესტის კანტორის მძღოლმა ს. კარევმა და „სოიუზზაგოტტრანსის" ავტობაზის მძღოლმა ვ. კვიტინსკიმ. მათ ილაპარაკეს როგორც თავიანთ, ისე იმ სტახანოველ ავტომძღოლთა მუშაობის გამოცდილებაზე, რომლებიც მანქანების კარგი მოვლით და ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებით მანქანების რემონტთაშორისი გარბენის მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. ჭონქელიძე თავის სიტყვაში შეეხო ასიათასოვან მძღოლთა რიგების ზრდის საკითხს და განაცხადა, რომ მათი რიცხვი ახლა 240-ს აჭარბებს. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასიათასოვანთა მოძრაობაში ძირითადად მონაწილეობენ მხოლოდ პირველი კლასის მძღოლები, რომელთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა, ხოლო მძღოლთა ძირითადი მასა — მესამე კლასის მძღოლები — ამ მოძრაობაში თითქმის არ მონაწილეობენ.

ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის ავტოსაქმის პროფესორი ამხ. ლუნიაკინი მიუთითებს მძღოლთა ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე, მანქანების მოვლა-პატრონობაზე და აღნიშნავს, რომ ასიათასოვანთა მოძრაობაში ისეთი განსაკუთრებული არაფერია, რომლის ათვისება ვერ შეძლოს თითოეულმა მძღოლმა, თუ იგი კარგად დაეუფლება კვალიფიკაციას, სისტემატურად იმუშავებს თავისი ცოდნის დონის ასამაღლებლად.

რესპუბლიკის მილიციის უფროსმა ამხ. ვ. მანჯგალაძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვის, ავტოტრანსპორტის ტექნიკური გამართულობისა და მძღოლთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე და განაცხადა, რომ ასიათასოვან მძღოლთა მოძრაობა დიდი მნიშვნელობის საქმეა. ამიტომ ორგანიზაციების, საწარმოებისა და ავტომეურნეობის ხელმძღვანელებმა ყველა აუცილებელი პირობა უნდა შეუქმნან ასიათასოვანთა მძღოლებს და ყველა იმ მძღოლს, ვინც ამ მოძრაობაში ჩაებმება.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. კოჭლამაზაშვილი.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ასიათასოვანთა მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და ამ მოძრაობაში მძღოლთა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმისათვის.

გავაუმჯობესოთ ტყავის ნედლეულის ხარისხი

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ ტყავის ნედლეულის დამზადების საქმეს, ვინაიდან ამ ნედლეულის დამზადებაზე დამოკიდებულია ტყავეულობის გამოშვების გეგმის შესრულება და ფეხსაცმლის ფაბრიკების შეუფერხებელი მუშაობა.

სამწუხაროდ, „ზაგოტკოჟსირიოს" საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკები ვერ იყენებენ პარტიისა და ხელისუფლების ორგანოების დიდ დახმარებას, კვლავ ჩამორჩებიან სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

„ზაგოტკოჟსირიოს" რესპუბლიკური კანტორა წვრილფეხა საქონლის ტყავით ამარაგებს „გლავშერსტკოჟსირიოს" ბათუმის ბაზას, რომლისთვისაც ტყავის ნედლეულის ჩაბარების პირველი კვარტალის გეგმა მან მხოლოდ 73,6 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით დიდი იყო ჩამორჩენა მარტში, როცა გეგმა 28,7 პროცენტით იქნა შესრულებული. ამან გამოიწვია ის, რომ „გლავშერსტკოჟსირიოს" ბათუმის ბაზამ ტყავის ქარხნებისათვის ნედლეულის მიწოდების აპრილის დავალება მხოლოდ 83,6 პროცენტით შეასრულა.

„ზაგოტკოჟსირიოს" დიდი ჩამორჩენა აქვს ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაშიც. მან „გლავშერსტკოჟსირიოს" ბათუმის ბაზას პირველხარისხოვანი ნედლი ტყავი 66 ცალის ნაცვლად 51 ჩააბარა, პირველ კვარტალში ჩაბარებული მთელი ტყავის 65 პროცენტი მეოთხე ხარისხისაა, რაც წუნს წარმოადგენს.

„ზაგოტკოჟსირიოს" ახმეტის რაიონულმა კანტორამ (დირექტორი იაშვილი) „გლავშერსტკოჟსირიოს" ბათუმის ბაზას ჩააბარა 1,4 პროცენტი პირველი ხარისხის, 1,4 პროცენტი — მეორე, 6,5 პროცენტი — მესამე და 90,7 პროცენტი მეოთხე ხარისხის ნედლი ტყავი. შემოწმებისას ხაშურის რაიონული კანტორის საწყობში წვრილფეხა საქონლის 560 ტყავიდან 510 ცალი მეოთხე ხარისხისა აღმოჩნდა, ხოლო პირველი ხარისხის არცერთი ცალი არ იყო. ასეთივე მდგომარეობაა კასპის (დირექტორი სიმონიშვილი), წითელწყაროს (დირექტორი ალადაშვილი) და გალის (დირექტორი ხუჭუა) რაიონულ კანტორებში.

როგორც ჩანს, „ზაგოტკოჟსირიოს" ბევრ მუშაკს დაავიწყდა, რომ გეგმა კანონია და მისი შესრულება სავალდებულოა დაწესებულ ვადებში და ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ მუშაობა და დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ჩამორჩენა. პირველ რიგში უნდა მოვაგვაროთ „ზაგოტკოჟსირიოს" რაიონული კანტორების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საკითხი, ამასთან ჩამბარებელთა შორის ვაწარმოოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, გავაცნოთ მათ პირუტყვის გატყავებისა და ტყავის შენახვის წესები, ვესაუბროთ ნედლი ტყავის დაუგვიანებლად ჩაბარების მნიშვნელობაზე. ამ საქმეში დამამზადებლებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. პროკურატურისა და მილიციის მუშაკებმა მეტი მეთვალყურეობა უნდა დააწესონ, რომ ზუსტად სრულდებოდეს ნედლი ტყავის დამზადების შესახებ არსებული კანონი.

ვ. აბრამაშვილი
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს „გლავშერსტკოჟსირიოს" რწმუნებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

რატომ არ მუშაობს თვითეული ტრაქტორი სრული დატვირთვით

კასპის რაიონის კოლმეურნეობებს ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ემსახურება. ეს სადგურები აღჭურვილი არიან უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

სამწუხაროდ, როგორც ეს შემოწმებით გამოირკვა, ამ მტს-ების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით, რის გამო სატრაქტორო პარკი სრულად არ არის გამოყენებული.

კასპის მტს-მა შარშან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ძირითადი სახეების გეგმა ვერ შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული ორიათასი ჰექტარის ნაცვლად საგაზაფხულოდ დათესა მხოლოდ 1.281 ჰექტარი, თესვისწინა კულტივაციის სამუშაოები შეუსრულებელი დარჩა 1.604 ჰექტარზე, სათოხნი კულტურების კულტივაციის გეგმა მხოლოდ 18,3 პროცენტით შეასრულეს. ასევე არ შეუსრულებიათ ანეულის კულტივაციის, მზრალად ხვნის, შაქრის ჭარხლის ამოღების, ვენახებში ხვნისა და კულტივაციის, ვასილოსებისა და ბაღის წამლობის სამუშაოები. ამასთან მტს-მა გადახარჯა 10.589 კილოგრამი საწვავი.

რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა? მტს-ის მუშაკები ცუდი მუშაობის მიზეზად იმას თვლიან, რომ ზოგიერთი ტრაქტორი ძველი და უვარგისიაო. მაგრამ ნამდვილი მიზეზი ცუდი ხელმძღვანელობა და უსისტემო მუშაობაა. მანქანების წესიერად მოვლას, მათი წარმადობის გადიდებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მტს-ში შრომა მოუწესრიგებელია, ამის გამო შარშან 3.447 ტრაქტორ-დღე გააცდინეს, მათ შორის ტრაქტორის ცუდი რემონტისა და ტექნიკური მიზეზების გამო 1.131 ტრაქტორ-დღე. ეს რომ არ ყოფილიყო, მტს-ს დამატებით შეეძლო მოეხნა 7.238 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. მტს-ში ყველა ტრაქტორი როდია გამოყენებული სრული დატვირთვით. მაგალითად, პირველ სატრაქტორო ბრიგადაში „ნატის“ მარკის ტრაქტორით წლიური საწარმოო გეგმით რბილ ხვნაზე გადაყვანით უნდა მოეხნათ 1.096 ჰექტარი, მოხნეს მხოლოდ 786 ჰექტარი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც დანარჩენ ექვს სატრაქტორო ბრიგადაში იყო. ასევე დაუტვირთავი იყო „კდ-35“, „სტზ“ და „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორები, რომლებმაც საწარმოო გეგმები ვერ შეასრულეს.

ტრაქტორებს მთელი სიმძლავრით ვერ იყენებენ თეძამის მანქანა-ტრაქტორთა სადგურშიც.

აღსანიშნავია, რომ კასპის რაიონის მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები როგორც შარშან, ახლაც უდარდელობას იჩენენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების საქმეში. მაგალითად, კასპის მტს-ში არ შეუსრულებიათ თესვისწინა კულტივაციის, ჯეჯილის ფარცხვისა და საგაზაფხულო თესვის გეგმები.

მესამე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. ფარქოსაძე), რომელიც სოფელ აღაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებს. ბრიგადას 5 ტრაქტორი აქვს. მიუხედავად ამისა, 15 დღეში „დტ-54“ ერთი ტრაქტორით და „სტზ“ მარკის ტრაქტორით (თვითეულმა გეგმით ერთ ცვლაში უნდა გამოიმუშაოს 5 ჰექტარი) მხოლოდ 5 ჰექტარი მოხნეს. ბრიგადაში დაბალია შრომის დისციპლინა. ტრაქტორისტმა გ. მხიარულაშვილმა ისარგებლა იმით, რომ კონტროლს არავინ უწევდა, და კოლმეურნეობის მინდვრებზე მუშაობის მაგიერ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე სამუშაოდ გადავიდა. ბრიგადაში ყურადღება არ ექცევა თვითეული ტრაქტორის დატვირთვას. ბედის ანაბარად მიტოვებულ ბრიგადას შეუსრულებელი აქვს თესვისწინა კულტივაციის, საგაზაფხულო თესვის, ანეულის ფარცხვის სამუშაოები. „დტ-54“ მარკის ტრაქტორი წელს 24 დღეს უმიზეზოდ გააცდინეს. „სტზ-ნატის“ ტრაქტორი 33 დღეს გაცდა, „სტზ“-24 და „უნივერსალი“ — 33 დღეს. სულ ბრიგადაში გაცდა 114 ტრაქტორ-დღე. ამ გაცდენილ დღეებში მათ დამატებით (რბილ ხვნაზე გადაყვანით) შეეძლოთ მოეხნათ 570 ჰექტარი. ბრიგადას არა აქვს საველე სადგომი, კოლმეურნეობის გამგეობა ბრიგადას არ ამარაგებს სასმელი წყლით, საკვებით და სხვ.

მეოთხე სატრაქტორო ბრიგადას (ხელმძღვანელი ნიკოლოზ ზანგური) ტრაქტორების მუშაობის ყოველდღიური გრაფიკი არა აქვს. დასამუშავებელი ფართობის ძებნაში ტრაქტორსაც აცდენენ და საწვავსაც ხარჯავენ. მაგალითად, 15 მაისს „დტ-54“ ტრაქტორი (ტრაქტორისტი სოლომონ ჩიტიშვილი) სოფელ ოკამის მერეინსკის სახელობის კოლმეურნეობაში ისეთ მინდვრებში წაიყვანეს, სადაც ანეულის ხვნა არ შეიძლებოდა. ნაკვეთის ძებნაში ტრაქტორი ერთ დღეს გაცდა. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. შამანაურს, ისე მტს-ის მუშაკებს. ამ ბრიგადაში ტრაქტორი კიდევ ორ დღეს გაცდა საწვავის უქონლობის გამო. ასე უგეგმოდ მუშაობის შედეგად ამ ბრიგადის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი წელს სულ 23 დღეს გააცდინეს, ტრაქტორი „უნივერსალი“ — 40 დღეს, ე. ი. „დტ-54“ მარკის ტრაქტორმა წელს მხოლოდ 12 დღე იმუშავა და დღიური დატვირთვა საშუალოდ 2 ჰექტარს შეადგენდა.

პირველ სატრაქტორო ბრიგადაში 13 მაისს ტრაქტორისტმა ს. გეჯაძემ სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ანეულის ხვნის დროს „დტ-54“ მარკის ტრაქტორი მიანდო პრაქტიკანტ ტრაქტორისტს გურამ აბუაშვილს. გამოუცდელმა ტრაქტორისტმა ტრაქტორი ხრამში გადაჩეხა. ტრაქტორს ერთი ნაწილი დაუზიანდა. ბრიგადირმა 15 მაისს დაზიანებული ნაწილი შესაკეთებლად მიიტანა მტს-ის სახელოსნოში. აქ შეკეთება გააჭიანურეს, 20 წუთის სამუშაო მხოლოდ მეორე დღეს გააკეთეს. ამის გამო ტრაქტორი სამ დღეს გააცდინეს. ვ. გელიშვილის სატრაქტორო ბრიგადას საგაზაფხულოდ უნდა მოეხნა 100 ჰექტარი, ფაქტიურად 55,7 ჰექტარი მოხნა; ჩამორჩა საგაზაფხულო თესვის, ჯეჯილების ფარცხვის, თესვისწინა კულტივაციის სამუშაოებში. ეს იმიტომ მოხდა, რომ „სტზ“, „უნივერსალისა“ და „კდ-35“ მარკის ტრაქტორები სრული დატვირთვით ვერ გამოიყენა. მარტო წელს მტს-ში 1.293 ტრაქტორ-დღე გააცდინეს. გაცდენილ დღეებში დამატებით 2.715 ჰექტარის მოხვნა შეიძლებოდა.

შარშანდელი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა არც თეძამის მტს-ის მუშაკებს გამოუტანიათ. მტს-ის მუშაკთა მიზეზით გაცდა 175 ტრაქტორ-დღე, ხოლო იმის გამო, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ ხელი არ შეუწყო სატრაქტორო ბრიგადის მუშაობას — 21 ტრაქტორ-დღე. მტს-მა ვერ შეასრულა კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაო.

პირველი სატრაქტორო ბრიგადის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი სახნისების უქონლობის გამო სამ დღეს გააცდინეს. სატრაქტორო ბრიგადას დღემდე უნდა მოეხნა 775,5 ჰექტარი, ფაქტიურად ეს სამუშაო ვერ შეასრულა. სატრაქტორო ბრიგადაში მოუწესრიგებელია შრომა. არა აქვთ ტრაქტორთა მუშაობის გრაფიკი, თვითეულ ტრაქტორს სათანადოდ არ ტვირთავენ. მაგალითად, „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორით დღემდე უნდა მოეხნათ 80 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნეს 49 ჰექტარი. ასევე „სტზ“ მარკის ტრაქტორს შესრულებული არა აქვს გეგმა. ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა შ. ედიშერაშვილმა „ნატის“ მარკის ტრაქტორი 22 დღეს გააცდინა.

ცალკეული კოლმეურნეობები ხელს არ უწყობენ ტრაქტორისტებს. მაგალითად, სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ჯანაშვილი) შარშან ტრაქტორისტებმა ვ. კინწურაშვილმა, შ. ედიშერაშვილმა, ტ. კახიანმა, კ. ლიონიძემ, ვ. ჯანაშვილმა და სხვებმა 2.130 შრომადღე გამოიმუშავეს. მათ ერგებათ 5.220 კილოგრამი მარცვლეული, რაც დღემდე მიუღებელი აქვთ. ზოგიერთ ტრაქტორისტს 1949 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი მარცვლეულიც არა აქვს მიღებული.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ტრაქტორისტთა კვალიფიკაციური კადრების მომზადებას, აღზრდას და წესიერად გამოყენებას.

რას აკეთებენ მტს-ების პარტიული ორგანიზაციები ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და როგორ ეხმარება მათ პარტიის რაიონული კომიტეტი?

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მტს-ებში პარტიული ორგანიზაციის მუშაობა, მათი ორგანიზატორული, დამრაზმავი როლი არ ჩანს. კასპის მტს-ში საკავშირო კ. პ. (ბ) 27 წევრია და პარტიის წევრობის 4 კანდიდატია. ცალკეული კომუნისტები ვერ ასრულებენ ავანგარდულ როლს. მაგალითად, მეოთხე სატრაქტორო ბრიგადაში კომუნისტი თ. ხუროშვილი, რომელიც ამ სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველია, ამავე დროს აგიტატორიც არის. ბრიგადაში მოუგვარებელია საწვავის აღრიცხვა, ბრიგადა ჩამორჩა მინდვრის სამუშაოებში, საწვავის უქონლობის გამო ტრაქტორები ხშირად უქმად დგანან. 14 მაისს საწვავის უქონლობის გამო ერთ ტრაქტორს მთელ დღეს არ უმუშავნია, ხოლო აღმრიცხველი და აგიტატორი კომუნისტი თ. ხუროშვილი ამას გულდამშვიდებით შესცქეროდა. წელს მარტო „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე გადახარჯვა 673 კილოგრამს შეადგენს. მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ „სტზ“ მარკის ტრაქტორით შარშან მხოლოდ 74 ჰექტარი მოხნა და 188 კილოგრამი საწვავი გადახარჯა. წელსაც იგივე გრძელდება. იმავე ტრაქტორით დღემდე მოხნულია მხოლოდ 50 ჰექტარი და გადახარჯულია 378 კილოგრამი საწვავი. სულ ამ ბრიგადამ 6 ტრაქტორით მხოლოდ 546 ჰექტარი მოხნა და 582 კილოგრამი საწვავი გადახარჯა, ავრეთვე გააცდინა 180 ტრაქტორ-დღე. ეს ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ ბრიგადაში სუსტია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. კომუნისტი მ. კუნდუხაშვილი ამ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის თანაშემწეა და ამავე დროს აგიტატორიც. იგი არ რაზმავს კომუნისტებს მიცემული საწარმოო დავალების შესრულებისათვის, ხელს არ უწყობს მოწინავე ტრაქტორისტთა გამოცდილების გაზიარებას. მტს-ის პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი ამხ. დ. სილაგაძე, დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შ. დაბრუნდაშვილი საკმაოდ არ ეხმარებიან აგიტატორებს მათი მოვალეობის შესრულებაში. პარტიული ორგანიზაცია სრულად არ ახორციელებს კონტროლს მტს-ის დირექციის საქმიანობისადმი. პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები შეთანხმებულად არ მუშაობენ, პარტიული ორგანიზაციის მიერ დასახული ღონისძიებანი არ სრულდება. მაგალითად, მტს-ის დირექტორს ამხ. შ. ხორიაშვილს პარტიული ორგანიზაციის მიერ იანვრიდან დავალებული აქვს ტექნიკური წრის ხელმძღვანელობა, მის შემდეგ მეხუთე თვე სრულდება და დღემდე არც უფიქრიათ მოეწყოთ ტექნიკური წრე. პარტბიუროს მდივანი ამხ. სილაგაძე რატომღაც შეურიგდა პარტიული ორგანიზაციის დადგენილების შეუსრულებლობას. გეგმის მიხედვით 28 აპრილს უნდა მოეწვიათ ღია პარტიული კრება, სადაც ერთ-ერთ საკითხად უნდა მოესმინათ მტს-ის დირექტორის ამხ. შ. ხორიაშვილის მოხსენება მესამე სატრაქტორო ბრიგადის მუშაობის შესახებ. ფაქტიურად ეს კრება არ მოუწვევიათ. 16 მაისს დანიშნული იყო კრება, რომელზეც უნდა მოესმინათ დირექტორის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შ. დაბრუნდაშვილის მოხსენება. ეს კრებაც ჩაიშალა. ასე ხდება სისტემატურად.

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში საველე გაზეთები არ გამოდის. მოწინავე ბრიგადებისათვის შემოღებული არ არის გარდამავალი წითელი დროშა, არავინ ზრუნავს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისათვის, არ იყენებენ მოწინავეთა დაფას, მოუწყობელია წითელი კუთხე, არა აქვთ გაზეთის ვიტრინა.

სახარბიელო მდგომარეობა არც თეძამის მტს-შია. აქ ზოგი კომუნისტი არღვევს შრომის დისციპლინას. მაგალითად, მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა კომუნისტმა ივანე ხოვერაშვილმა დაუკითხავად მიატოვა თავისი სატრაქტორო ბრიგადა და პირად საქმეზე რამდენიმე დღით წავიდა დასავლეთ საქართველოში.

არ ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი მტს-ის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. მიღებულ დადგენილებებს დროულად არ ახორციელებენ. მაგალითად, წელს 18 აპრილს პარტორგანიზაციის ღია კრებაზე დაადგინეს, რომ სატრაქტორო ბრიგადაში მოეწყოთ ორცვლად მუშაობა. დადგენილება არ შესრულებულა.

ხშირად ზერელე დადგენილება გამოაქვთ. პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. კოტეტიშვილი ამავე დროს მტს-ში უფროს აგრონომად მუშაობს. მან დღემდე ვერ უზრუნველყო სატრაქტორო ბრიგადისა და ტრაქტორებისათვის სამუშაო გრაფიკის შედგენა.

მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად არიან დაინტერესებული თვითეული ტრაქტორის დატვირთვით, არ ახდენენ შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ზუსტ აღრიცხვას თვითეული ტრაქტორის მიხედვით. პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არ განუხილავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა თვითეული ტრაქტორის დატვირთვის მდგომარეობა, ტრაქტორის დაბალი დატვირთვის მიზეზები, შრომის ორგანიზაციის საკითხები. ახლოვდება მოსავლის აღების დღეები. მაგრამ ეს საკითხი პარტიულ ორგანიზაციას ჯერაც არ განუხილავს.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარება მტს-ს საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიონული კომიტეტი. ამა წლის 7 აპრილს რაიკომის ბიუროს სხდომაზე განიხილეს კასპის მტს-ში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხი, დაისახა ღონისძიებები, მაგრამ საკითხი კარგად არ იყო შესწავლილი და ამიტომაც დადგენილებას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შ. დაბრუნდაშვილი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად და საფინანსო საკითხებზე 2 თვეა მიამაგრა სოფელ ნიგოზის სასოფლო საბჭოს. საკვირველია პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის სტილი — გაცხარებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში მტს-ის დირექტორის მოადგილე თავის პირდაპირ მოვალეობას ჩამოაშორა!

ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი თეძამის მტს-ში. დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ალ. მახარაძე ხშირად არის მიმაგრებული სხვადასხვა ობიექტებზე. ამჟამად ის მიმაგრებულია ახალციხის სასოფლო საბჭოში საფინანსო საკითხების მოსაგვარებლად. როგორც ჩანს, საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომმა და მისმა პირველმა მდივანმა ამხ. ა. ჭიჭინაძემ კვლავ შემოიღო რწმუნებულთა ეგრეთწოდებული „მიმაგრების“ პრაქტიკა, რომელიც დიდი ხანია დაგმობილია.

კასპისა და თეძამის მტს-ების მუშაობა ძირფესვიან გაუმჯობესებას მოითხოვს. საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიონულმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველომ უნდა გააძლიერონ დახმარება ამ მტს-ებისადმი, უზრუნველყონ ტრაქტორების სწორად და სრული დატვირთვით გამოყენება.

შ. ჭოჭუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის მდგომარეობის შესახებ

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სტრიკოტაჟო-სავალანტერეო ფაბრიკაში შექმნილი არ არის შრომის სათანადო პირობები. ფაბრიკის საქსოვ საამქროში დადგმულ დაზგებს შორის დაცული არ არის საგაბარიტო ნორმები; საამქროს შენობა გადატვირთულია ტარითა და სათადარიგო ნაწილებით; ოთხ საქსოვ დაზგას არა აქვს საცავი ზოლუდები, ხოლო დანარჩენი დაზგების საცავებს შეკეთება ესაჭიროებათ; საამქროებში არ არის ვენტილაცია; მატყლის საამქროს იატაკი ცემენტისაა; საგრეხი საამქროს კედლები შესაკეთებელია; საამქროებში არ არის სასმელი წყლის ავზები; ზოგიერთ საამქროში არა აქვთ პირსაბანი, საპონი და პირსახოცი; ფაბრიკის ეზო დანაგვიანებულია.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: საამქროების განტვირთვისა და მუშა-მოსამსახურეთა ნორმალური მუშაობის პირობების შექმნის მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინაშე დაისვას საკითხი ფაბრიკის შენობიდან მდგმურთა გასახლების დაჩქარების შესახებ.

ფაბრიკის დირექტორს დაევალა უახლოეს დროში გაათავისუფლოს საქსოვი საამქროს შენობა ტარისა და სათადარიგო ნაწილებისაგან, შეაკეთოს საგრეხი საამქროს შენობა; საცავები გაუკეთოს იმ დაზგებს, რომელთაც ისინი არა აქვთ, ხოლო ყველა დანარჩენი დაზგის საცავი დროულად შეაკეთოს; 15 ივნისამდე ფიცრული იატაკი დააგოს მატყლის საამქროში, ყველა საამქროში დადგას წყლის ავზები, პირსაბანები, წესრიგზე მოიყვანოს ფაბრიკის ეზოს ტერიტორია; ფაბრიკის რეკონსტრუქციის დროს გაითვალისწინოს საამქროებში ვენტილაციის მოწყობა და ამ მიზნით რეკონსტრუქციის მთლიანი პროექტი შეუთანხმოს სამკერვალო-სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

ორი ქარხნის კოლექტივის შეჯიბრება

ბორჯომი. (საკ. კორ.). ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი ამას წინათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კისლოვოდსკის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივმა.

ბორჯომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კისლოვოდსკელთა გამოწვევას და გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი აიღეს.

კისლოვოდსკელებთან შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც მებრიგადე ვ. რუმიანცევა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მაისის დავალება 25 რიცხვისათვის დიდი გადაჭარბებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი ლიტრი მინერალური წყალი ჩამოასხა. ამავე ბრიგადის წევრებმა გ. გაგლოშვილმა, რ. ბეგლარიშვილმა, თ. მახათაძემ და ტ. აკოფოვმა აპრილსა და მაისში შრომის ნაყოფიერება 20-25 პროცენტით გაადიდეს. რუმიანცევას ბრიგადა ახლა დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებს.

ტყის ახალი მასივები

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის სატყეო მეურნეობის ხაზით მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაშენდა 750 ჰექტარი ახალი ტყე. ტყის მასივები დიდ ფართობებზე გააშენეს გაგრისა და გუდაუთის სატყეო მეურნეობებმა.

უტყეო ფერდობებსა და თავისუფალ ადგილებზე დარგეს დიდძალი ზღვისპირეთის ფიჭვი, კაკლის ხე, წაბლი, თეთრი აკაცია და კავკასიური ხურმა.

სატყეო მეურნეობებში შექმნილმა სანერგეებმა გამოიყვანეს ტყის ძვირფასი ჯიშის ნერგები. წელს სანერგეებში გამოყვანილ იქნა 1.179 ათასი ევკალიპტის ნერგი, ნაცვლად 870 ათასისა. აქედან ევკალიპტის ასეულ ათასობით ნერგი მიიღეს ზუგდიდისა და ცხაკაიას ტყესაცავმა სადგურებმა დასავლეთ საქართველოს ტყესაცავი ზოლებისათვის.

ახალი მშენებლობანი

ლაგოდეხი (სპეც. კორ.). სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო საჯიშე ღორის ფერმისათვის დაპროექტებული შენობის აგება. იგი დაიკავებს 900 კვადრატულ მეტრ ფართობს.

რაიონში ასეთი შენობა პირველი იქნება. მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის. ამ საქმეზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 150.000 მანეთი.

კოლმეურნეობა დამატებით აშენებს ახალ საწყობს მარცვლეულის შესანახად. ეს საწყობი დაიტევს 200 ტონა მარცვლეულს. მშენებლობა დაჯდება 100.000 მანეთი.

ამ კოლმეურნეობაში მუშაობა დაიწყო აგურის ქარხანამ, რომელიც სეზონში გამოუშვებს 50.000 ცალ აგურს. იგი მთლიანად დააკმაყოფილებს კოლმეურნეობის მოთხოვნილებას აგურზე.

საბჭოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ექიმისათვის ორმოც-ორმოცდაათ კილომეტრზე უხდებოდათ წასვლა ფშაველებს. კიდევ უფრო ძნელი იყო წამლის შოვნა.

სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. ლენინ—სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელით დაიფარა. ამ მხრივ ფშაველის სასოფლო საბჭოს სოფლებშიც ბევრი რამ გაკეთდა. სოფელ ფშაველში არსებობს საექიმო უბანი. მას უნარიანად ხელმძღვანელობს 15 წლის სტაჟის მქონე ექიმი ამხ. შალვა გვიშიანი. აქვე მოწყობილია საავადმყოფო 10 საწოლით. ორი ოთახი დათმობილი აქვს სამშობიაროს. შარშან აქ 80-მდე კოლმეურნე ქალმა იმშობიარა. სოფელ ლიჩურში საბებიო-საფერშლო პუნქტი გახსნეს, ლალისყურში კი — საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი და პროფილაქტიკური პუნქტი. აქ ენერგიული მუშაობით გამოირჩევა ექიმის თანაშემწე ტატიანა რამაზაშვილი. მას ოცი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი, რომელსაც 5 წელზე მეტია ამხ. მიხეილ ყურშიტაშვილი ხელმძღვანელობს, დიდ ყურადღებას აქცევს სამკურნალო დაწესებულებების მუშაობას. აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე სისტემატურად იხილავენ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. ფშაველში მალარიით დაავადებულთა პროცენტი წინა წლებში მცირე როდი იყო. ამ ავადმყოფობის გავრცელებას აქ ხელს უწყობს ჭაობები. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ეს საქმე საფუძვლიანად შეისწავლა და სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად განიხილა „მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების“ საკითხი, მოისმინა სასოფლო საბჭოს დეპუტატის ექიმ შალვა გვიშიანის მოხსენება. აღმასკომის სხდომამ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პრაქტიკული ღონისძიებები დასახა.

საექიმო უბანმა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა გააძლიერა, მოაწყო პროფილაქტიკური გამოკვლევანი. შემოწმებულ იქნა 1.800 კაცი. 400 კაცზე წარმოებს პროფილაქტიკური აკრიქინაცია. ბევრი ჭაობები და გუბეები არხების გაყვანით დააშრეს. იმ ჭაობებს, რომელთა დაშრობა ჯერჯერობით არ მოხერხდა, მაზუთი და პარიზის მწვანე მოასხეს. ამ საქმეზე 4 ბონიფიკატორი მუშაობს. ყოველივე ამის შედეგად, თუ შარშან გაზაფხულზე მალარიით დაავადების ოცზე მეტი შემთხვევა იყო, წელს ერთიც აღარ არის.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვებში დაადგინა 15 აპრილიდან 15 მაისამდე მოწყობილიყო სანიტარული ერთთვიური. ამ საქმეს სამედიცინო პერსონალთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ სასოფლო საბჭოს დეპუტატები ფატი ერგენიძე, შალვა ჭიჭარაშვილი, ზაქარია ჯაჭვაძე და სხვები. მოსახლეობაში მოეწყო ლექციები თემაზე „სისუფთავე ჯანმრთელობის დაცვის საწინდარია“. მოეწყო ქუჩებისა და ეზოების გაწმენდა, გადახურეს წყაროები, 5 კილომეტრზე გაწმინდეს არხები და სხვ.

სასოფლო საბჭო მუდამ ზრუნავს სამკურნალო დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის. საავადმყოფოს შენობას, რომელიც სამი წლის წინათ ააგეს, შარშან მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ორი ოთახი მიუმატეს, წელსაც ორი ოთახი ააგეს. ამ წლის ბოლოს საავადმყოფოს გარდა, ფშაველს ექნება ამბულატორია, ლაბორატორია, რენტგენის კაბინეტი და სანიტარული გამტარი.

სოფლის აფთიაქი შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ იყო, რომ სასოფლო საბჭოს სესიამ მიმდინარე წლის მარტში აფთიაქის შენობის აგება გადაწყვიტა. მალე სიტყვა საქმედ აქციეს, სოფლის აქტივისტებმა საჭირო მასალები დაამზადეს და აფთიაქისათვის ექვსოთახიანი შენობის აგება დაიწყეს. ამ საქმეს სასოფლო საბჭოს დეპუტატი დიმიტრი მერაბიშვილი ხელმძღვანელობს. მშენებლობას წლის ბოლომდე დაამთავრებენ.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დროულად დასახა ღონისძიებანი საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საექიმო უბანი დილიდან საღამოს 9 საათამდე მუშაობს. ექიმმა შალვა გვიშიანმა და ექიმის თანაშემწეებმა პ. მაისურაძემ, ლ. ციხისთავმა და სხვებმა 64 ლექცია-საუბარი მოაწყეს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. „მალარია და მასთან ბრძოლა“, „ბავშვთა დაავადებანი“, „სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია“, „ტიფი და მასთან ბრძოლა“ და სხვ.—აი რაზე ესაუბრებიან ისინი კოლმეურნეებს. ექიმის თანაშემწენი მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს ეხმარებიან პირველი დახმარების მედიკამენტებით.

ფშაველის (თელავის რაიონი) სასოფლო საბჭო და მისი აქტივი მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდნენ და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მზრუნველობა უფრო უნდა გააძლიერონ.

ს. ქოჩლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ოჯახის ყველა წევრი—ორდენოსანი

ხაშური. (საკ. კორ.). 35 წელია, რაც ნორჩი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურება ქალაქ ხაშურის რკინიგზის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი სოფიო ესტატეს ასული აბრამაშვილი-ბერია. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებულია აგრეთვე მისი და ანა აბრამაშვილი.

სოფიო აბრამაშვილი-ბერიას ვაჟი ექიმი ვალერიან შალვას-ძე ბერია სამამულო ომის მონაწილეა; იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

რამდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედიცინის დარგის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. მათ შორის უმწიკვლო და ხანგრძლივი მუშაობისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებულია სოფიო აბრამაშვილ-ბერიას მეუღლე, ხაშურის აფთიაქის ფარმაცევტი შალვა საბას-ძე ბერია.

ჩვენ გვწერენ

მეშახტეები მოითხოვენ

ტყიბულში რკინიგზის სადგურთან არსებობდა კეთილმოწყობილი ბაზარი, რომელიც დროებით დაიხურა მშენებლობის მიერ მისი ტერიტორიის დაკავების გამო.

პარტიის ტყიბულის რაიკომმა და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობას დაავალეს გამოენახა შესაფერი ადგილი ბაზრისათვის და დაუყოვნებლივ შესდგომოდა მის მოწყობას.

მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებმა არც ახალი ბაზრის მოწყობა ისურვეს და არც ცენტრალურ უბანში არსებული მეორე ბაზრის გაფართოება.

ტყიბულელი მეშახტეები და კოლმეურნე გლეხობა მოითხოვენ ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას.

ქ. ბარბაქაძე.
ლ. აბესაძე

გამოუქვეყნებელი წერილის კვალდაკვალ

მოვალეობისადმი უდარდელი დამოკიდებულების შედეგად

სტალინირის რაიონის სოფელ ტბეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგის ივ. ქოქოევის უდარდელობის შედეგად, — გვწერდა სოფლკორი, — ფერმამ დიდი დანაკლისი განიცადა. მცირე ხნის განმავლობაში 11 სული მსხვილფეხა პირუტყვი დაიხოცა, დანარჩენი კი მოუვლელობის გამო დაუძლურდა. ფერმაში არ ხდება პროდუქტების აღრიცხვა.

წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს სამხრეთ ოსეთში. როგორც კორესპონდენტი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. დასახელებული კოლმეურნეობის ფერმის გამგის საკითხი მიმდინარე წლის 14 აპრილს განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის ბიურომ. რაიკომის ბიურომ ფერმის გამგე ივ. ქოქოევი მოხსნა სამუშაოდან და მისი საქმე გადასცა რაიონის პროკურატურას. პროკურატურას გადაეცა აგრეთვე იმავე ფერმის ყოფილი გამგის პ. ენალდიევის საქმე.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი სოფელ ტბეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 28 მაისი. (საქტესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის 62-ე სხდომა. თავმჯდომარეობდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დევისი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ 25 მაისის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებაში დამაჯერებლად ცხადყო, რომ არ შეიძლება ლაპარაკი ევროპაში დაძაბულობის ლიკვიდაციასა და ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, თუ განხილულ არ იქნა საკითხი ატლანტიკის პაქტისა და სხვის ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ, რადგან ამ პაქტის დადება და ამ ბაზების შექმნა გახდა ევროპაში ვითარების დაძაბვისა და დასავლეთის სამ სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუარესების მთავარი მიზეზი. ამაზე დაყრდნობით, სსრ კავშირის დელეგაცია, რომელიც ესწრაფვის იმას, რომ მინისტრების საბჭომ განიხილოს მშვიდობის უზრუნველყოფის ყველა უმნიშვნელოვანესი პრობლემა, მტკიცედ მოითხოვდა და მოითხოვს, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ, რის განუხილველადაც მინისტრების საბჭოს სესიის მოწვევას აზრი არა აქვს.

დღევანდელ სხდომაზე დევისის გამოსვლამ ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები კვლავ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა წინადადებას. ამით მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ არა სურთ აღმოფხვრან ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები და ისწრაფვიან არსებული მდგომარეობა შეინარჩუნონ თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის. „ჩვენ ვერ დავუშვებთ, — თქვა დევისმა,—რომ პუნქტი ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ დღის წესრიგში იყოს".

ჟესეპმა და პაროდიმ განაცხადეს, რომ მათ [illegible]

არიან მოისმინონ საბჭოთა წარმომადგენლის განცხადება მინისტრების თათბირზე და იმისთვისაც კი მზად არიან, რომ მოგვცენ ახსნა-განმარტება ატლანტიკის პაქტის თითქოს „მშვიდობიანი" ხასიათის საკითხზე. მაგრამ თუ სამი სახელმწიფოს მთავრობანი მზად არიან მოისმინონ საბჭოთა წარმომადგენლის განცხადება და მზად არიან გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი ამ საკითხზე, რაღა საფუძველი არსებობს, რომ გაილაშქრონ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ეხება დღის წესრიგში სათანადო პუნქტის შეტანას, და მით უმეტეს იმის წინააღმდეგ, რომ მინისტრების საბჭოს ეს პუნქტი გადაეცეს როგორც შეუთანხმებელი? ჩვენ გვგონია, რომ ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. თქვენი განცხადებანი ცხადყოფენ, რომ სამი სახელმწიფოს მთავრობებს არა სურთ სერიოზულად განიხილონ ეს საკითხი, არამედ სურთ მინისტრების საბჭოს სესიაზე დაკმაყოფილდნენ რაღაც მეორეხარისხოვანი განცხადებებით ამ საკითხის შესახებ.

ჟესეპმა, რაკი ვერ შეძლო რაიმე ეთქვა სსრ კავშირის წარმომადგენლის საწინააღმდეგოდ, კვლავ სცადა თათბირის ყურადღება ჩამოეშორებინა განსახილველი საკითხისათვის და წინადადება შეიტანა განეხილათ დღის წესრიგში პუნქტების დალაგების წესი.

გრომიკომ პასუხი გასცა ჟესეპს და მოაგონა თათბირს სსრ კავშირის დელეგაციის არაერთხელ გაკეთებული განცხადება, რომ სრულიად უსარგებლო და უაზრო იქნებოდა დღის წესრიგის პუნქტების დალაგების წესისა და სხვა მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვა, სანამ არ არსებობს შეთანხმება თვით იმ პუნქტების საკითხზე, რომლებიც დღის წესრიგში უნდა შევიდნენ.

შევხო რა ჟესეპის მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზადაა მონაწილეობა მიიღოს მინისტრების საბჭოს სესიაში [illegible]

[illegible] მთავრობისა და სახალხო-დემოკრატიული [illegible] ქების წინააღმდეგ, რაზეც ბევრი აშკარად ლაპარაკობენ და წერენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, დიდ ბრიტანეთშიც და საფრანგეთშიც?

— დევისი აცხადებს, — განაგრძო გრომიკომ, — რომ სამი სახელმწიფოს მთავრობანი მზად [illegible] ბა ამ წინადადებებს. მაშასადამე, მას აქვს თავისი განსაკუთრებული გეგმები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა მშვიდობის განმტკიცებასთან, ევროპაში ვითარებისა და ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებასთან.

ამით დაიხურა სხდომა.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობა დღეს იუწყება, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ კონტრიერიშებს და ამაგრებდნენ წინათ დაკავებულ პოზიციებს.

28 მაისს ჩამოგდებულ იქნა მტრის 3 თვითმფრინავი.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 26 მაისი. (საქტესი). ფრონტიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, თუ რა გმირობასა და მამაცობას იჩენენ სახალხო არმიის მეომრები, რომლებიც ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი ლისინმიწელი დამქაშებისაგან იცავენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. გაზეთი „მინჯუ ჩოსონი" მოგვითხრობს სახალხო არმიის ერთ-ერთი ნაწილის ნაღმმტყორცნელთა საბრძოლო საქმეებზე. ერთხელ, წერს გაზეთი, საარტილერიო მომზადების შემდეგ ინგლისელი და ამერიკელი ინტერვენტების დაბლოკებით ერთმა ბატალიონმა ავტომანქანებით დაიწყო შეტევა იმ პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც სახალხო არმიის ნაღმმტყორცნელთა ასეულს ეკავა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ნაღმმტყორცნელი ასეულის მებრძოლებს უკან არ დაუხევიათ. მათ ახლო მოუშვეს მტრის ჯარისკაცები და შემდეგ გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს. ნაღმმტყორცნელმა იუნ დოკ სონმა პირველი რამდენიმე გასროლით დააზიანა მოწინააღმდეგის ორი ავტომანქანა, რომლებსაც მაშინვე ცეცხლი გაუჩნდა. თავზარდაცემულმა მტრის ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში მოკლულ და დაჭრილ იქნა მტრის 100 [illegible]

[illegible] ზარდაცემულმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა ხელები მაღლა ასწიეს. ამერიკელი სამხედრო ტყვეები შტაბში წამოიყვანეს. მათ შტაბს მისცეს ძვირფასი ცნობები, რომლებითაც სარდლობამ შეიმუშავა გეგმა ეფექტიანი ოპერაციისა, რაც მოწინააღმდეგის სრული განადგურებით დამთავრდა.

ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲛᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲢᲘᲑᲔᲢᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 24 მაისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა დარბაზობა გამართა ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების დადების გამო. დარბაზობას დაესწრნენ პანჩენ-ლამა და ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის დელეგატები კალონ ნგაბო ნგავანგ ჯიგმეს მეთაურობით, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილენი ჟუ დე, ლიუ შაო-ცი, სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილენი დუნ ბი-უ, ჩენ იუნი და გო მო-ჟო, სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის წევრები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ოფიცრები, პეკინის მერი, დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების ხელმძღვანელი მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მას შემდეგ, რაც წარმოთქმულ იქნა შეთანხმების, ჩინეთის ყველა ეროვნების დიადი ერთიანობის, ტიბეტელი ხალხის შინაგანი ერთიანობის გამარჯვების სადღეგრძელოები, შეკრებილთ სიტყვით მიმართა თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა. შემდეგ გამოვიდნენ პანჩენ-ლამა და ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი კალონ ნგაბო ნგავანგ ჯიგმე. დარბაზობამ გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ჯერ კიდევ დარბაზობამდე პანჩენ-ლამამ თავისი უმაღლესი მოხელეების თანხლებით და დელეგაციამ, რომელსაც კალონ ნგაბო ნგავანგ ჯიგმე მეთაურობს და რომელიც დალაი-ლამისა და ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელია, ოფიციალური ვიზიტი გაუკეთეს ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს, რომ გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა, და საჩუქრები მიართვეს მას ტიბეტელი ხალხისაგან.

დელეგაციამ, რომელიც დალაი-ლამისა და ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელია, ვიზიტი გაუკეთა აგრეთვე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალს ჟუ დეს.

ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲢᲘᲑᲔᲢᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობასა და ტიბეტის ადგილობრივ მთავრობას შორის შეთანხმების ხელმოწერის აღსანიშნავად გამართულ დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა. მან განაცხადა:

„რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ჩინეთის სხვადასხვა ეროვნებანი გაერთიანებული არ იყვნენ. კერძოდ, ერთმანეთისაგან გათიშული იყვნენ ჩინელი ხალხი და ტიბეტელი ხალხი. გათიშვა იყო თვით ტიბეტელ ხალხშიც. ეს იყო მანჯურთა რეაქციული მთავრობისა და ჩან კაი-შის მთავრობის მართვა-გამგეობის შედეგი, აგრეთვე იმის შედეგი, რომ იმპერიალისტები პროვოკაციებს ეწეოდნენ და შუღლს აღვივებდნენ.

ახლა ძალები, რომლებსაც დალაი-ლამა ხელმძღვანელობს, და ძალები, რომლებსაც პანჩენ-ლამა მეთაურობს, გაერთიანდნენ ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან. ეს მიღწეულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩინელმა ხალხმა დაამხო იმპერიალისტთა ბატონობა და შინაგანი რეაქციის ბატონობა. ეს ერთიანობა ძმური ერთიანობაა და არა ისეთი, როცა ერთი მხარე მეორეს ავიწროებს. ასეთი ერთიანობა მიღწეულია ყველა წრეების გაერთიანებულ ღონისძიებათა შედეგად. ამიერიდან ამ ერთიანობის საფუძველზე ყველა ჩვენი ეროვნება წინ წავა განვითარებისა და პროგრესის გზით ყველა დარგში—პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში".

ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲨᲔᲗᲐᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲢᲘᲑᲔᲢᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). როგორც კი გუშინ საღამოს რადიომ გამოაქვეყნა ცნობა ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე, ჩინეთის ბევრ ქალაქში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები. ჩინელი ხალხი ერთსულოვნად მიესალმება ტიბეტის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას.

პეკინში დემონსტრაციები ნაშუაღამევამდე გაგრძელდა. დემონსტრანტები თავიანთი ლოზუნგებით მიესალმებოდნენ ტიბეტის მშვიდობიან განთავისუფლებას, ჩინელ მოხალისეებსა და კორეის სახალხო არმიას, მოითხოვდნენ ტაივანის განთავისუფლებას.

ნაშუაღამევამდე მიმდინარეობდა დემონსტრაციები ტიანძინშიც.

ჩუნცინში შეთანხმების ხელმოწერის შესახებ რადიოცნობის მიღების შემდეგ გამოვიდა გაზეთების საწრაფო გამოშვება, საწრაფო ცნობა შეთანხმების დადების შესახებ გააკრეს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მოწყობილ სპეციალურ სტენდებზე.

სიანში საღამოს გამოვიდა გაზეთ „ციუნჟუნჟიბაოს" საწრაფო გამოშვება შეთანხმების დადების შესახებ. ამ ცნობას ხმამაღლა კითხულობდნენ ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. მთავარ ქუჩებში გვიან საღამოს გაიმართა დემონსტრაციები ტიბეტის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების აღსანიშნავად.

ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). კვირის დამლევს ლონდონში გაიმართა მეცნიერ მუშაკთა ინგლისის ასოციაციის საბჭოს ყოველწლიური სესია. სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს მასობრივი მოსპობის ყველა საშუალების, მათ შორის ატომური ბომბის აკრძალვას. სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოუწოდეს მთავრობას მიაღწიოს დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას შეიარაღების თანდათანობით შემცირების შესახებ. მათ პროტესტი გამოთქვეს იმის წინააღმდეგ, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ შეამცირა ასიგნობანი მშვიდობიანი მიზნებისათვის მეცნიერული გამოკვლევების მოსახდენად.

კრების მონაწილეებმა მტკიცედ გაილაშქრეს მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციისაგან ასოციაციის მოწყვეტის ცდის წინააღმდეგ. გამოვიდა რა ამ საკითხზე, ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილემ, ლისტერის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა დოქტორმა ტ. მაკლინმა განაცხადა: „საერთაშორისო მდგომარეობის აბლანდელი დაძაბულობის დროს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მხარი დავუჭიროთ ჩვენს კავშირს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მეცნიერებთან".

რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა ასოციაციის განყოფილების წინადადებით ქალაქებში რანკორნსა და უიდნესში, სადაც თავმოყრილია იმპერიის ქიმიური ტრესტის დიდი ქარხნები, მოუწოდებს ასოციაციის აღმასკომს სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად მოიწვიოს ხუთი დიდი სახელმწიფოს გამოჩენილ მეცნიერთა თათბირი, რათა განხილულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი არსებითი საკითხებისა და მათ შორის სურსათის გეგმიანი წარმოებისა და განაწილების, სათბობისა და დეფიციტური ნედლეულის ეფექტიანი გამოყენების, მრეწველობაში ატომის ენერგიის გამოყენებისა და მედიცინის დარგში აღმოჩენათა გაზიარების საკითხის გადაჭრისათვის.

საბჭომ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მიაღწიოს ასოციაციის ყველა წევრის [illegible]

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 28 მაისი. (საქტესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბრემერჰაფენიდან იუწყება, გუშინ სამხედრო სატრანსპორტო გემ „გენერალ პეტჩით" ბრემერჰაფენში ჩამოვიდა ამერიკელთა მე-4 დივიზიის პირველი 2 ათასი ჯარისკაცი. 18 ათასი ჯარისკაცი უახლოეს დღეებში ჩამოვა.

შემოდგომისათვის საოკუპაციო ჯარები დასავლეთ გერმანიაში გაძლიერებულ უნდა იქნან ამერიკის კიდევ 3 დივიზიით. ამრიგად, ამერიკის ჯარების საერთო რაოდენობა დასავლეთ გერმანიაში 9 დივიზიამდე გადიდდება. დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ფრანგთა სამი დივიზია გაძლიერებულ იქნება ორი ახალი დივიზიით. გარდა ამისა, დასავლეთ გერმანიაში გადაიყვანენ ინგლისისა და სკანდინავიის ახალ საჯარისო შენაერთებს, აგრეთვე ბელგიის მეორე დივიზიას.

ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის „მოღვაწეობის" ლიკვიდაცია.
ნახატი გ. ლომიძისა

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საქ. კორ.). ორ დღეს მიმდინარეობდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მეორე საქალაქო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა, ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა.

ინჟინერმა ა. ნოზაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ბურღის მუშაობის გახანგრძლივება", ინჟინერმა მ. ბრეგვაძემ — „მარგანეცის მადნის დატვირთვის მექანიზაცია", ახალგაზრდა ქიმიკოსმა ე. ყიფშიძემ—„მარგანეცის მადნების ქიმიური შემადგენლობა ცალკეული მაღლობების მიხედვით". მოწონება დაიმსახურეს ახალგაზრდა ინჟინრების ამხ. შაიშმაძის, ახვლედიანისა და შეყლაშვილის მოხსენებებმა.

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ახალგაზრდა ექიმების მოხსენებები. ექიმმა ც. გოგოლაშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე „რევმატიზმი და მისი პროფილაქტიკა", ლ. ჯაფარიძემ—„კიბო და მის წინააღმდეგ ბრძოლა", ც. ფხაკაძემ—„ტუბერკულოზი და მასთან ბრძოლა ბავშვთა ასაკში".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საქ. კორ.). „დინამოს" სტადიონზე ამას წინათ გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნობაში. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი, ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, ევროპის ჩემპიონი სპორტის ოსტატი ლ. სანაძე, საქართველოსა და აჭარის უძლიერესი სპორტსმენები. შეჯიბრების პროგრამაში იყო რბენა სხვადასხვა მანძილზე, ბირთვის კვრა, ბადროს და შუბის ტყორცნა, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა და სხვ. შეჯიბრებას გახსნეს შუბის მტყორცნელებმა.

საქართველოს ჩემპიონმა შუბის ტყორცნაში ვ. შმაკოვმა შუბი 62 მეტრსა და 47 სანტიმეტრზე სტყორცნა, რითაც 29 სანტიმეტრით გადააჭარბა საქართველოს რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. მაღალ სპორტულ შედეგს მიაღწია სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ, რომელმაც 100 მეტრი მანძილი 10.5 წამში გაირბინა. ბათუმის მესამე რუსული სკოლის მოსწავლემ ი. ვალაბუევმა აჭარის მოსწავლეთა შორის ახალი რეკორდი დაამყარა. მან 1.500 მეტრი 4 წუთსა და 26 წამში გაირბინა.

დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო რეკორდსმენის ნ. დუმბაძის გამოსვლამ, რომელმაც ბადრო 52 მეტრსა და 16 სანტიმეტრზე სტყორცნა. 80 მეტრი თარჯრბენაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა 11,8 წამში დაფარა.

სპორტულ შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა საქართველოს რეკორდი შუბის ტყორცნაში და აჭარის ორი ახალი რეკორდი 200 და 1 500 მეტრზე რბენაში.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ Ლ. Პ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოწყობილია დიდი გამოფენა, მიძღვნილი სასახლის არსებობის 10 წლისთავისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილია კაბინეტების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები 10 წლის მანძილზე.

გამოფენაზე განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი ილნინისმის კაბინეტის მუშაობა. მოსწავლე პიონერებს ფეხით შემოვლილი ყველა ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილი, დიდი გულისყურით შეუგროვებიათ ძველი საინტერესო ნივთები, მინერალური ქვები და სხვ.

გამოფენა მნახველთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

Პასუხისმგებელი რედაქტორი
Გ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

31 ᲛᲐᲘᲡᲡ

06.45 — ახალგაზრდობის სიმღერები. 09.20 —ალბანური სიმღერები. 18.10—რუს კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — ვერდის ოპერა „რიგოლეტო". პირველ ანტრაქტში — საუბარი „სახალხო დემოკრატიის რეჟიმის განმტკიცება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში". მეორე ანტრაქტში — ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი მეკანოვის რომანიდან „სირ-დარია". 24.00 — ქართული ხალხური სიმღერები ბორჯომის შუშის ქარხნის თვითმოქმედი ანსამბლის შესრულებით.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის —ალი (მე-6 აბ. ვ. ვერონიოვას მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მარინე"; **სომხური დრამის** — „ეს ვარსკვლავები ჩვენია"; **მუსიკალური კომედიის** — „ერთხელ გაზაფხულზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბედნიერებისაკენ" (93-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „მშვიდობის ვარსკვლავი" (4 საათზე); **ხანკულტურის თეატრი** — „ბიკეთის ძალი".

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „კომკავშირელი" (საზაფხულო დარბაზი), „ისანი", **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო დარბაზი), **კოლხეთის სახელობის** — [illegible] „კომკავშირელი" (საზამთრო დარბაზი) — [illegible] „კოლხიდა" (საზაფხულო დარბაზი) — [illegible]; **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო დარბაზი)—„ცის ხელმავალი"; „დიდუბე" (საზაფხულო დარბაზი)—„მშვიდობიან დღეებში", (საზამთრო დარბაზი) — „ალიდგებიან ახალი მებრძოლნი"; „კოლმეურნე" — „მაშენკა"; „ამირანი" (საზაფხულო დარბაზი) — „ჯამბაზები".

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინ[illegible] ლებას 1951-52 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეცი[illegible] ნიზაცია, 2. ცხოველთა მოშენება, 3. მიკრობიოლოგ[illegible]

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლე[illegible] დე, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს: [illegible] ციალურ დისციპლინაში, რუსულ ენასა და ერთ-[illegible] ლი, ფრანგული).

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხა[illegible] ხელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: კადრები[illegible] ბიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების[illegible] ლიდან, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, საბუთი[illegible] დებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახ[illegible] ტი სპეციალურ საკითხზე, სამი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 1951 წლის 1 აგვისტო[illegible] ბრიდან.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ინ[illegible] მისამართით: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 15, ტელ. 3-07-83.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ლ. გერსამია, ნ. ნაცვლიშვილი, ლ. შანიძე, ლ. ფოლავა, თ. ჩხეიძე, გ. ცინცაძე, ლ. კეკელიძე, თ. ნაცვლიშვილი, გ. ბაქრაძე, გ. კანკავა თანაგრძნობას უცხადებენ მარია და ნოდარ ნათაძეებს, პროფესორ გრიგოლ იასონის-ძე ნათაძის გარდაცვალების გამო.

შ. ჩხეტია, ე. ბუჩქულაძე, გ. გოორგიძე, მ. ვასაძე, გ. ფურცელაძე, ა. ქუნჭულია იუწყებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გრიგოლ იასონის-ძე ნათაძის გარდაცვალებას.

მშობლები მამა, სანდრო, ძმები შურა, სერგო, რძლები ნანული, რუსუდან შვილებით იუწყებიან ეთერ სანდროს ასულ ლადუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-V, 8 ს. რესპუბლიკურ ცენტრალურ საავადმყოფოს პროზექტურაში, კამოს, 47. დაკრძალვა 3-VI, ცხაკაიაში, ავარიის, 39.

კოკო, ნათელა ხუტა, ტარასი, დარეჯან გაგუები ოჯახებით იუწყებიან დიდის ოჯახის დავითის ასულ ნაჭყებიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-V, ს. კოტიანეთში (ცხაკაიის რ.).

მეუღლე თამარ, შვილები დოდო, ნელი ახვლედიანები იუწყებიან დოცენტ ვალერიანე იასონის-ძე ახვლედიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-V, 8 ს. გამოსვენება 31-V, 6 ს. კამოს, 43.

[illegible] ჯემალ, ნანული, დალი, თამაზ, ჯუდუ, კარლო, ალმა, მარიამ, ზეინაბ, ნათელა, ანზორ იუწყებიან ნინო ფანქველაშვილი-გელაშვილის გარდაცვალებას.

შვილი მეჭი კორძაია, ძმები ამილონ, ანდრო ბალანჩივაძეები ოჯახებით იუწყებიან ნინო მელიტონის ასულ ბალანჩივაძე კორძაიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-V, 7 ს. გამოსვენება 31-V, 6 ს. რესპუბლიკურ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პროზექტურიდან, კამოს, 47.

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს შ. და ე. წიკლაურს მათი ბიძის რაჟდენ ჯანუაშვილის გარდაცვალების გამო.

წალენჯიხის ექიმთა საზოგადოება იუწყება იასონ პეტრეს-ძე ლაგვილავას გარდაცვალებას.

ა. შარია, კ. ბაქრაძე, ა. ქუთელია, ს. წერეთელი [illegible]

[illegible] მამარაძის პანაშვილი.

ლ. გორდელაძე, გ. კიკნაძე, ნ. ბახტაძე, ვ. გოგოძე, ა. გვგანავა, ა. კალანდია, ვ. სულაქველიძე, გ. გოგუაძე თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ რ. ნათაძეს მისი მამის პროფესორ გრიგოლ ნათაძის გარდაცვალების გამო.

გიორგი, ვანო, მარო, ომარ ფანქველაშვილები იუწყებიან რძლის ნინო პართენის ასულ ფანქველაშვილი-გელაშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81 84, სასოფლო სამეურნეოსი — 3-57 61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80 84, მშრომელთა წერილების — 3-73 24, მეოქისა და გამომცემლობის — 3-81 65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ № 14. უე 03201